

ნიკონი


ISSN 0132-6015

ქვეყნული

ბიულეტენი

№ 19

1986 წ.



სუფსის სანაპიროები

შედეგები

უკანონო ასაღმოსასლენი

სათაჰიდან სუფსა ერთი პატარა ღვთაება. მერე იზრდება, მშვენიერდება, განივრდება და ზღვის შესართავთან, იცოცხლეთ, თვალმასარა სანახავია! პოდა, მომრავლდნენ სუფსის სანაპიროზე, ზუსტად შესართავთან, სილამაზისა და მშვენიერების ტრფიადნი! მომრავლდნენ და კანონ-სამართლის გვერდის ავლით დასახლდნენ კიდევც!..

ვლადიმერ შალვას ძე შაინიძე შიგ ჩაის პლანტაციასი ჩადგა სახლი, 0,25 ჰა მიწაც შემოიღობა. კრფს ვალთა და მისი ჯალაბობა კოლმეურნეობის დოვლათს და კეცავს წითელ თუმნიანებს!.. რაკი სახლიკაცი ასე გამდიდრებული ნახეს, ნუგზარ და ვალიკო შაინიძეებმა მისი მოიბეს ქეზი — ერთის უკანონობა თუ შეიძლება, რავე, ჩვენ რითი ვართ ნაკლებით, და იმათაც წამოვიქცის ოდები, რათქმა უნდა, საკოლმეურნეო პლანტაციებში!.. შაინიძეების საგმირო გადმოსასლება უხმაუროდ არ დარჩენილა. სმაურს ბარე ორი სხვა უნებართვო დასახლების მსურველიც მოჰყვა. გიორგი ტაკიძე კი მთლად ციტრუსოვანთა ბაღში ჩასახლდა! უპატრონო ეკლესიასო, — იტყვიან და მართალიც არის! სუფსა რაიონში ერთ-ერთი მცირემიწიანი სოფელია და საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილება უჭირს კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სულაც არ აწუხებდა გიორგი ტაკიძეს, კოლმეურნეობის მაშინდელ თავმჯდომარეს, რომელიც აშუამად ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შთავარი აგრონომია! ბატონ გიორგის გამოცდილება დიდი აქვს და, იქნებ, გააგრძელოს აღნიშნულ მეურნეობაში უკანონოდ ჩასახლების მოსურნეთა დაკმაყოფილება?!

უმროველი შემოსავლის ტრფიადნი

რაკი სუფსის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ამგვარი განუკითხაობა სუფსედა, ადგილობრივმა მკვიდრებმაც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, კარლო ჯარსაღიაში თითქმის სამი ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი მიიტაცა. იშრომა და რა იშრომა პატივცემულმა კარლომ! — მისია ნაკვეთს ცოლ-შვილი, ნათესავ-მეგობარი და ისეთი სანერგე მეურნეობა მოაწყო, ავ თვალს რომ არ ენახებოდა! კარლოსი და მისი ოჯახის სანერგე მეურნეობა სუთი ათასამდე ძირ ციტრუსის ნერგსა და ას ორმოცდაათ ძირ სრულმოსავლიან ლიმონს ითვლის. ამ დოვლათის პატრონს, ერთი კაპიკის საღირალი არ შეუქმნია საზოგადოებრივ მეურნეობაში! ორიათასამდე მეტრი შაქრო მითაიშვილმა მიიტაცა. ასეთივე მაჩვენებლები აქვთ ჯუმბერ ჟორდანიასა და ლადიკო ჩხაიძეს. ყველაზე მცირე ვარაუდით თითოეულს სახელმწიფოსათვის, ერთი კაპიკის ანაზღაურების გარეშე, მიტაცებულ მიწებზე ექვსი, რვა და ათი ათასი მანეთი შემოსავალი აქვს წელიწადში!

შენიშვნაზე, რომ ისინი უშრომელი შემოსავლით მდიდრდებიან, ცოტა არ იყოს, შემოგვწყურნენ:

— რავე, ბატონო?! წლებზე ფეხს ვიდგამთ სანერგეებში და ავია უშრომელი შემოსავალი?! ისე, რავე, მარტო ჩვენ ამოგვარჩიეთ, ბატონო?! ჩვენს სოფელში ბარე ოცდაათამდე კაცია, ასე მიტაცებული მიწა რომ აქვს და მაგი კანონი იმათზე არ ვრცელდება, თუ?!

მართლაც...
სოფლის მაშინდელი ხელმძღვანელები — რეზო მექვაბიშვილი და არონ კვაჭანტირაძე, რომლებიც ახლა შესაბამისად ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაურთიანების შთავარ აგრონომად და ღრმავლის საბჭოთა მეურნეობის შთავარ აგრონომად მუშაობენ, ალბათ გამოიხსენებენ დროს, რომ წლების განმავლობაში მათ მიერ წახდენილ სახელმწიფო საქმეს გადაავლონ თვალნი!..


სადაურსა სად წაიყვან, გელო?!

კომუნისტი ექიმი ვადიმ ბორისის ძე ოსიპოვი ფოთის ქალაქის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში მოღვაწეობს. ფაზისელი ოკულისტი, მართლაც რომ წელზე ფეხს იდგამს! პოდა, ასეთ დაუზარელ მშრომელს რას უზამს ქალაქში არსებული 32 კვ მეტრი მოცულობის ოროთახიანი ბინა სამ სულზე და სააგარაკო მშენებლობისათვის სამოცდაათიანი წლების მიწურულში დაიწყო ზრუნვა და არცთუ უშედეგოდ — 1979 წლის 16 თებერვლის, № 44 გადაწყვეტილებით, სახალხო დეპუტატების ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომმა დააკმაყოფილა ბატონი ვადიმის თხოვნა, რომ მისთვის სოფელ სუფსაში გამოეყოთ საკარმიდამო ნაკვეთი!.. მცირეოდენი შეფერხების შემდეგ, რამაც 2 წელი და ერთი თვე შეიწირა, სუფსის სასოფლო საბჭომ ჩვეული გულკეთილობით დააკმაყოფილა ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება, თუმცა საქმეში მცირეოდენი კორექტივა შეიტანა: მიწის ფართობი გამოეყო ვადიმ ოსიპოვის მეუღლეს — ვალენტინა ვასილის ასულ ოსიპოვას ვალენტინა იურისტი ქალია და, საქმეს რომ ახედ-დახედა, მიხვდა, რომ მთლად რიგზე ვერ იყო ყველაფერი, ამიტომ გამოეყოფილ ნაკვეთზე აშენებული ორსართულიანი სახლის მფლობელად დედამისი — ანა ანდრიას ასული ბაზასკინა გამოაცხადა. გამოაცხადა და დაამტკიცეს კიდევც!..

წერილების გაგრძელება იქნება!

გიორგი ფაცურიან,
სახალხო კონტროლის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

დავით ასკურაძე,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.





უსიტყვოდ

აპოლიტიკა

კოშმა პრუტკოვი

რბ ვიცი ით კოშმა პრუტკოვის შესახებ? — ის, რომ დაიბადა 1858 წელს, გარდაიცვალა 1868 წელს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი აფორიზმი, პაროდია, ეპიგრამა, იგავ-არაკი და სხვ., რომელთა უმრავლესობა სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „სოცერმენიკში“. არსებობს შესანიშნავად შენახული მისი პორტრეტიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალურ კოშმა პრუტკოვს არც ერთ დროში და არც ერთ ქვეყანაში არ უცხოვრია! კოშმა პრუტკოვი მეცხრამეტე საუკუნის რუსი მწერლის ალექსი ტოლსტოისა და ძმების ვლადიმერ და ალექსი უემჩუნიკოვების ლიტერატურული ფსევდონიმა.

- ადამიანს ი მი ტ ო მ აქვს ორი ხელი, რომ მარცხენით მიღებულს მარჯვენით გასცემდეს.
- ყველაზე შორეული ისევე ახლოა რაღაცასთან, როგორც ყველაზე ახლობელია რაღაცისაგან შორს.
- კაცის მახსოვრობა ის ქათქათა ფურცელია, რომელზედაც სუფთად ნაწერი და აცაბაცად ნაჯღაბნი მუდამ ერთმანეთის გვერდიგვერდაა მოთავსებული.
- აღრენილი პოეტის წარმოსახვა ახალთახალ ჩექმაში ფეხის სრიალსა ჰგავს.
- მთელი სამყაროს შემოვლას ერთი სიცოცხლის სწორად გავლა სჯობია.
- ის, ვინც სამყაროს ჰვრეტს, მუდამ განცვიფრებულია.
- ზოგჯერ მავანის მომღურება სავსებით საკმარისია, რათა მის ყოველდღიურ თვალთმაქცობას დააღწიო თავი.
- დავიშალა ვინმემ მუდმივი ძრავის გამოგონება?!
- ეგოისტი ქვის ფსკერზე ნაყურყურტებსა ჰგავს.
- შენ სიცილის თავის დროზე შეწყვეტა მითხარი, თორემ უთავბოლოდ გაგრძელებს ყველა მოახერხებს.
- ბედნიერების მაღალ ტაძარში მეგობრობის კედლებს სიყვარულის გუმბათი ადგას.
- ისტორიის უზუსტეს სასწორზე რაფაელის ფუნჯს ალექსანდრე მაკედონელის ხმლის წონა აქვს.

თარგმნა ამირან პალაძემ

კოსტა სუთაგურთოვის

ილია ჭავჭავაძის ბიზლირთე

მცრუპი

ოსური ფოლკლორის მოტივებზე

ძლიერთა ამა ქვეყნის პურის ჰამა აქვთ დიდი, ისმის თავადთა კვენა, სორსოცი ისმის მდიდრის. მღვდელს დაეიწყნია ღმერთი — უღმერთოდ სვამს და მღერის, მუცელი, გასახეთქი, ძლივლა უჭირავს ხელით!.. სასმელს სმენ, საჭმელს თქველფენ, ღორად ქვეულა კაცი!.. აფლავრძელებენ მეფეს ვეებერთულა ყანწით!.. მათ შორის არის ერთი — კაცი — წყნარი და დინჯი, ჰკუთნ მდიდარი ერთობ, ღვთით ბოძებული ნიჭით. ხეთავის ძეა, კოსტა, სოფელ ნარიდან არი, მოუწყენია მეოსანს, — თითქოს ქვევია მხარი!.. მოწყენით უმზერს სურათს, მხიარულობენ სხვები, კოსტას ზეარავენ!.. ზუმად წინ დაუხვავს ძვლები!.. ამბობს ვიღაცა ლოთი, რომ ჰგავს ნახშირით ნასატს: — „ხედავთ, რამდენი სორცი შეჭამა ამ ღვთის გლახამ?!“ მუცელს როგორღა ზიდავს?!“ და ასორსოცდა სუფრა!.. კოსტა წამოდგა დინჯად, აქამდე მყოფი უბრად ამბობს: „ვაი, თქვენს პატრონს! ჰამად აქციეთ ლინი, ნიადგა ჰამას ნატრობთ, დაფრენილი ვაქვთ პირი! ვერ ამოყორეთ, ვერა, მუცელი გასახეთქი, აღარც კაცობის გჯერათ, აღარც ხატის და ღმერთის! ქვეულხართ მუცლის წერად, ჰამა-სმას მისდევთ მხოლოდ, პირუტყვები ხართ ყველა! პირუტყვებით ცხოვრობთ!“

თარგმნა ელდარ კერქვაძემ



საქართველოს მშენებელი

ნამდვილი ზღაპარი

მართლაც, ცხრათავიანი მამიკო დიდი ვინმე იყო და ბავშვს ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სულ ფარჩა-აბრეშუმებში აძინებდნენ. ძილი ხომ უყვარდა და უყვარდა! როგორც კი გამოიღვიძებდა, უმაღლვე დააღებდა შვიდივე პირს: „მშია...“ „მწყურია...“ ჰოდა, საუზმეზე თუ ორ ფუთ კარაქიან პურს შესანსლავდა, ვახშმად ერთი ურემი ხიზილალა ძლივს ჰყოფნიდა, სადილზე კი იმდენს მიირთმევდა, ალბათ იმით ერთი ვაგონი დაიტვირთებოდა.

ექვსი წლისა რომ გახდა, სკოლაში წაიყვანეს და პირველსავე დღეს საყვარელი მასწავლებელი - წვერცანცარა კიკინა კინაღამ შემოეჭამა. საბედნიეროდ, კეთილი დევეუკა იზრდებოდა, თუმცა კი შოღად, მაინც შეენანა და შიშისაგან გულგახეთქილი კიკინა ბეწვზე გადარჩა. სკოლის დირექტორად მრისხანე გველეშაპი ჰყავდათ. ისე აბოზოქრდა, პირიდან სულ ცეცხლი და კვამლი სდიოდა, თან საზარლად დაგრაგნილ კუდს მათრახნივით ატყელაშუნებდა. პატარა დევეუკა დაფრთხა და უნებლიეთ კუდზე უკბინა. გველეშაპი ვერ მიხვდა, შვიდი თავიდან რომელმა გაბედა ეს. ონავარი თავი გადარჩა ძირში წაქენეტას, მაგრამ დევეუკა სასტიკად დაისაჯა: სადილად ერთი ურემი ნამცხვარი და ნახევარი ურია ნაყინი ავმარეს.

იმ დღის შემდეგ დევეუკას მერხს გისოსები შემოავლეს, რათა თავის საყვარელ მასწავლებლებსა და თანაკლასელებს ვერ მისწვდომოდა. ძალიან კეთილი დევეუკა იყო, მაგრამ შექმლო ფერება-ფერებაში ვინმე ჩაეკბინა.

ისე სულ სხვადასხვანაირი თავები ება: ზოგი ჭკუით ჰქონდა გამოტენილი, ზოგს კი ჭკუა სულაც არ ეკითხებოდა. ერთი თავი რომ ცნობისმოყვარე იყო, სხვადასხვა ამბები აინტერესებდა, მეორე ანცი და ეშმაკი ბრძანდებოდა, მესამე - კეთილი და მხიარული, მეოთხე - ბოროტი და

ჭირვეული, მეხუთე - გულუხვი, მეექვსე - ძუნწი და ქვაწვია, მეშვიდე - ძილისგულა და ზარმაცი... ოცდაცამეტი მასწავლებელი ასწავლიდა ანაბანას. ერთი თავი გაიძახოდა „ასო-ბგერა ანი!“ მეორე - „ასო-ბგერა ბანი!“ მესამე - „ასო-ბგერა განი!“ და ასე ბოლომდე. ჰოდა, როგორც იქნა, ზოგმა თავმა ოთხი ასო-ბგერა დაიმახსოვრა, ზოგმა - ხუთი და, შვიდივე ერთად თუ მიონდომებდა, სელის-გულისონენა ზღაპარს ბოლომდე ჩაიკითხავდა.

შვიდთავიანი ბავშვისათვის ესეც საკმარისია! - თქვა დედოქომ, - ამდენმა მეცადინეობამ მთლად დამისუსტა ჩემი შვილიკო!

უმჯობესია, საქმეს მოჰკიდოს ხელი! - ბრძანა მამიკომ.

ნეტავი რა ხელობა შევეურიოთ ჩვენს ნიჭიერ შვილიკოს? - წუხდა დედიკო.

სახლის აშენება დავავალოთ! - გადაწყვიტა მამიკომ.

წამოწვა შვიდთავიანი დევი მხართეძოზე და დაიწყო ფიქრი.

„რა ჯობია სახლის აშენებას!“ - შვიდივე თავმა ერთად გაიფიქრა.

პირველმა თავმა გადაწყვიტა, სამსართულიან სახლს ავაშენებ, ფართო და ნათელ ფანჯრებს ჩავსვამ, ოთახები სინათლით აივსებაო; მეორემ - ერთი სართულიც კმარა, ფანჯრებს კი სულ ამოვგმანავ, დილ-დილობით მზე არ შემომიჭყიტინებსო; მესამემ - ხის სახლი უფრო მსუბუქი და ხალვათიაო; მეოთხემ - ქვისაო; მეხუთემ - ფაცხას შემოვლობავო; მეექვსემ - ერთ ორმოს ამოვიჩქინი და ისიც მეყოფაო; მეშვიდემ... მეშვიდეს ამასობაში გამერიელად ჩასძინებოდა...

მიხვდა ცხრათავიანი მამიკო, ასეთი თავებით სახლი ვერ აშენდებოდა, და ბრძანა:


— აჰა, ყანა და მინდორი! რაც გინდა, დარგე და დათესე, მოსავალი მოწიო!

წამოწვა მწვანე მდელოზე შვიდთავიანი დევეუკა და ფიქრში ჩაიძირა.

პირველმა თავმა გადაწყვიტა, სობრალს დავეთესავ, პური ბევრი მექნებაო; მეორემ - მარწყვს დავთრავავ, გემრიელია და ადრე მწამოდისო; მესამემ - სახამორის ბაღმა ჯობია, შრომა-გარჯა ნაკლები უნდაო; მეოთხემ - უკეთესია, ბალახი ამოვიდეს, ძროხას მოვაძოვებ, რძე და სორცი მექნებაო; მეხუთემ - თავს რაზე ვიტკივებ, თუ გინდა ეკალ-ბარდებმა იხაროს, ეკალს დავაკრეფ და მხალსა ვჭვამო; მეექვსემ - მჭესუმჭირას მოვიყვან და იმას ვაქნაშუნებ, დანარჩენზე დედიკომ და მამიკომ იზრუნონ, მეტი თავები აბიათო; მეშვიდემ... მეშვიდეს - აი, დარდიო! - და გამერიელად ჩასძინებოდა...

შეწულდა ცხრათავიანი მამიკო, შეწულდა ცხრათავიანი დედიკო, შეწულდნენ გველეშაპი დირექტორი და ოცდაცამეტი მასწავლებელი, რა ვურჩიოთ, რა საქმეს ვაწიოთ?! სკოლაში მუსიკის მასწავლებლად დიდყურა ჩოჩორი ჰყავდათ, - დიდი ყურები აქვს და სმენა ექნებაო. - იმ დიდყურამ შუბლზე ხელი იტკიცა, ეს ჩვენი შვიდთავიანი დევეუკა „შვიდაცად“ გამოგვადგებაო! პირველიც აგერაა, მეორეც და მესამე ხმებიცაო. ჰოდა, შვიდთავიანი დევეუკა მომღერალი გაგვისდა. ახლა სადმე „შვიდაცაცას“ რომ გაიკონებო, თანაც სიმღერებში „მშია-მწყურია“ ხშირ-ხშირად თუ ურეკია, იცოდეთ, ის შვიდთავიანი დევი მღერის!..

ჯეაალ ჰირია



ნახ. დ. ზარაფთვილისა




— ქოთანში ჩაის ზრდით?!
— რა ვქნათ, ბატონო, ხარისხიანი გვინდა დავლიოთ!

ნახ. შ. აბაშიძისა



— რაც ამ მუცელს შრომა და ჯაფა ადგას, კიდევ უშრომელს მეძახიან?!
— რა ვქნათ, ბატონო, ხარისხიანი გვინდა დავლიოთ!



ჩვენი კომბინატის დირექტორი ისე კარგად შევიდა თავის როლში, რომ კულტურის სახლში ბილეთების გაყიდვა დაიწყო!

ნაკრები

ენის ბასბატი და ტვინის ბასბაყლები

ახალგაზრდა ავტორი არტემის ძე ახალაძის ავარდნილი, აუღაყუდა, ახვარი აივენგო ალკობოლო ადვილად ააცანცარა — ახალდაქორწინებულ ალალ ახლობელს, ალექო ახალაძას, ასურეთის აღმართში, ახულაძეების აჩუქურთმებული აივნის ახლოს, აღიონზე, ახალნაყიდი ავტომობილი აუღელვებლად აწაპანა.

— : —

ბიბიკო ბუხუტის ძე ბუთხუის ბითური ბიძის — ბიბინა ბიკენტის ძე ბიბილორის ბაყუში ბიკი ბონდო ბიბამისის — ბიკტორ ბახილის ძე ბიბლიას ბინის „ბეთ“ ბათუში, ბენჯეს ბოლოს, ბარში ბაირამობს.

— : —


დაინვალიდებულმა დარაქმა დავით დემურის ძე დამბლაძემ, დეკემბრის დამდებს, დაქვრივებული დის დედისერთა, დაბადებიდან დებილი, დასანახად დასაზაფრი, დეგენერატებისაგან დაწუნებული დარაქო დევი დევნოზაშვილთან დიდი დავიდარაბითა და დაწიოკებით დააქორწინა.

ბანო ცინცაძე

ნაკვესები

- **დაივიწყე**, რომ ყოვლისშემძლე ხარ, და ნათელი განდება შენთვის, რა შეგიძლია სინამდვილეში!
- **არაპინ** უარყოფს იმას, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვველაფერს უარყოფენ.
- **ყველა** გზა ერთი მიმართულებით მიდის, თუმცა გზის დასაწყისში არაერთ არ ფიქრობს ამზე.
- **რამინდ** შორსმკვრივ ტელეფონი იყო, ზოგჯერ ისიც უნდა დაინახო, რაც ცხვირწინ გიღვეს.
- **სასწაული** მუდამ მოულოდნელია, მაგრამ ყოველთვის როდია სასურველი.

სულხან ჯორჯაძელი




საცოდავია, ვინც ოდეს ამნაირ ქსელში გაებას! — სულის ნამდვილი ტრავმა ოთანის დაქირავება! ... პა, სახლის პატრონს შენ ჰკითხავ: „თეში გინალოთ რამდენი?“ — ორასი! გეტყვის, თან დასძენს შუბლზე არ ოფლის დადენით: — არის ოთანი, ბატონო, თექვსმეტ კვადრატულ ფართობით, თავისი წყლით, და ლოჯიით, გაზ-განათებით, გათბობით, თავისი კარით, სარკმელით, ფუძით, ჭერით და კედლებით, მეტი რა გინდა, ძამია, ვარ ვითომ ღირსი ყვედრების? არის მუშვიდე სართულზე, პო, უნდა გითხრა სისწორით, ტელეფონი დგას! თუ გინდა, შენ დადი ტელევიზორიც! ეს არის, ძამო, რაც არის! მგონი, სისრულით ავსევი, თავისი შესასვლელი აქვს, თავისი გამოსასვლელი! ორასი წომ ვთქვი? ამ თანხას სხვა თანხა კიდევ თან ერთვის: უნდა იხადო შუქისთვის თვიურად სუთი მანეთიც!“

- — ორასი?! როგორ?! რას ამბობთ?! ფასი მექვირა რა დიდად, ორასი არ აქვს ხელფასად ზოგ დოცენტს ან მეცკანდიდატს. ძვირია ეგ თქვენი ფასი, მჩხველტს, როგორც რუკას ჭიკარტი, ამ დავრღნი პარკეტს, არც კარებს, არც კედლის ჭამას ვიქადი, არ დენი რისთვის ვინალო?! გული რა სევდამ შებუროს? მითხარით თვითონ თქვენ თეში რანაირ ხელფასს ღებულობთ?“
- — ახ მანეთს! — მითხრა პასუხად.
- — პო აბა, ნახეთ ერთიან: თქვენივე ოთანის ქირა თქვენსავ ხელფასზე მეტია, თან ორჯერ მეტიც!“
- — ბატონო რად გინდა დავიდარაბა?
- არ გაწყობს? მე ჩემს ოთანში ჯაჭვით არავის არ ვაბამ!“
- მე შევესუმრე:
- — ამდენი ფული გსურთ დაისაკუთროთ? შეიდი მანეთი დღე-ღამით არა ღირს ოქროს სასტუმროც! თუ თქვენს ოთანში ვიცხოვრე, ვაგიმხელთ აზრებს „თავნებას“ — მომიწევს მე იმ ოთანის მოვლა და დასუფთავება, დაცვა! ამისთვის (სიმართლე ამკარად უნდა ვიკადრო!) ოთანის ქირა არა მე, აქეთ თქვენ უნდა მინალოთ! მაქვს ას ოთხმოცი მანეთი ხელფასი, ძალმიძს რომ არ ვთქვა? — კიდევ ის ოცი მანეთი საიდან უნდა მოგართვათ? თანაც საჭმელი, სასმელი არასდროს გავიზიარო? არც ტანსაცმელი ვიყიდო, აღარც ტრანსპორტით ვიარო? ვიჯდე დღე და ღამ ოთანში მშვიერ-მწყურვალი, შიშველი? მარტოდენ თქვენი ოთანის ცივი კედლები მიშველის?“

...

აქა ვწყვეტ ამბის მოყოლას, გზას დაუმთავრებს დეტოვებ, ოღონდ ვიტყვი: ღნინი აქეთ ამგვარი სახლის პატრონებს, მათ სამსახური რად უნდათ, ან ფული — „ოფლით ნაჯაფი“, ერთი ოთანის თვის ქირა თუ მაღალ ხელფასს დახჯაბნის?!



ნ.ბ. ა. კანდიდატი

უსიტყვოდ

რომ გაუტყვეს რაჭას სახელი!..

ბაღდადის დრო-ვამს ჩემს გამზრდელ მხარეს
გლენი, პქონოდა თუნდაც ოქრონი,
უბრალო რაზით კეტავდა კარებს, —
უმოქმედობას სწუხდა ბოქლომი!..


ახლა? ო, ახლა, შემზარავ ამბებს,
ვითარცა ბარში, ვერც შთაში დათვლით:
წამვლელი ღამით ვიღას არ არბევს,
სულს ვიღას არ ხდის ნანჯლით თუ შანთით!..

ოთხმოცდაექვსის ოცდაერთ ივლისს
მეც გადვიქციე შხამით ვაგლანად:
ვიღაც მეგლკაცმა ავტომობილი
თვალდახელშევა გამიპარტახა!..

კარზე მოხტომა ვის დავაბრალო:
წესელს? საშთისელს? ჭიბრეველს? ბარველს?
მუნსელს — ჩემს სისხლნორცს? მით უარესი!
ეს კიდევ მეტად მრევს და მამწარებს!

ო, კიდევ კარგი, საითაც წავალ,
რაც მაქვს, ატყვია ჩემს მკლავ ჩემოოჯანს
თორემ ვითარცა მავანს და მავანს,
გვემა-წამება არ ამცდებოდა!..

ლანჯრის ჩაცემა არვის ასცდება,
არვის, ვინც სხვათა არის მლანჯრელი!
მე იმას ვწუნვარ, ვაი-კაცებმა
რომ გაუტყვეს რაჭას სახელი!



თბილისის მე-11 მისიონის მეათე კვარტალში ცხოვრობდა ფაცია თუთაშვილი — ქალი — დიასახლისი, ქალი — ხერხი, რომელიც დროის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რათა რაც შეიძლება, მეტი მოეხვეჭა.

იმ დროს, როცა მკაცრი კონტროლი დაწესდა ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობაზე, მის დამზადება-გასაღებაზე, ფაციას შესანიშნავი აზრი დაებადა: სწორედ ასეთ პირობებში შეიძლება სელის მოთბობაო, გაიფიქრა, კანეთს ესტუმრა, იქ არაყის გამყიდველები მოიძია და...

— ჭაჭა, ნამდვილი ჭაჭა! თუთაშვილი კი ვარ, მაგრამ თუთის არაყს ხომ არ გამოვხდინდი?! ანდა სად უნდა მეშოვა ამდენი თუთა?! ბაზარში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჭიჭა თუთა ორი მანეთი ღირს!

— რამდენად ყიდი, ქალბატონო ლიტრ არაყს?
— იაფად, ჭირიმე, რვა მანეთად!
— ძვირია!
— იყიდე, ჭირიმე, მაშინ მალაჩის არაყი!
ბოლოს ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ ლოთბაზარა ფულს სდებდა, ფაცია იჯიბავდა!..

ლოჭინის დასახლებაში მცხოვრებმა ანია ლიასკოვსკაიამ იმთავითვე დაიჭირა თადარიგი — შემოდგომაზე კანეთიდან ყურძენი ჩამოიტანა, დაწურა, ჭაჭა სპეციალურ ქვაბში შეინახა, კანონის გამოსვლისთანავე ქვაბს ცეცხლი შეუთო და არაყმა ოც-ლიტრიან ბოთლებში იწყო დენა!.. რომ იტყვიან, არაყის გვარიანი მოსავალი მოიწია და უშრომელ შემოსავალს წელში უნდა გაემართა ქალი, მაგრამ მოულოდნელად დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ და იძულებული გახდა, 65 ლიტრი არაყი ქარისთვის გაეყოლებინა!..

ანია ლიასკოვსკაიას ბედი პირწმინდად გაიზიარა სარდლის ძვირფასობისა, „საქცხოველმრეწვის“ დამხმარე შექანიკური სახელოსნოს მუშამ, რომელიც პატიოსან შრომას მოხერხებულად უხამებდა უპატიოსნო სპეკულაციას და ჯიბეს ისქელებდა!..

**ბრიგოლ გვაქაბია
ანტორ გოგოლაძე**

შარბთი თბილისიდან

შარბთილი—8--ის მე-11 მისიონის მე-18 კვარტალის მობინარე არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ჩვენს ახალაშენებულ სახლში კარ-ფანჯრები უხარისხოა, არც გათბობა გვექონდა ზამთარში და ვიყინებოდით. ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ სარდაფებში ჩადის წყალი, საღარბაზოებში ჩამონგრეულია კარები, ეზოში არ გვაქვს განათება (თუმცა ლამპიონები დამონტაჟებულია), სისტემურად გაუწმენდავია ნაგავგამართი, ეზო მოუწყობელი და მოუვლელია, ირგვლივ ანტისანიტარია!..

შარბან გოთუას ქუჩის № 18 სახლი ნგრევაში მოჰყვა. მას შემდეგ დანგრეული შენობის ნარჩენები ეზოში დარჩა, ხოლო რაც კარგი და გამოსადეგი იყო, თვით მნგრეველებმა დაიტაცეს. ეზო სავესეა ორმოებით, სამშენებლო მასალების ნარჩენებითა და ნაგვით. ვინც აქ დავრჩით საცხოვრებლად, ვინაობით მტვერსა და ნაგავში!..

ელნაზას ქუჩის № 28 სახლის I კორპუსში მდებარე „საქმავ-ჯღავთეშენის“ სამმართველოს მუშაკები შეწუხებული ვართ კოლოების შემოტევით, რომლებიც ჩვენი შენობის დატბორილი სარდაფიდან ამოდიან და უმოწყალოდ გვკბენენ, ბზუიან და მოსვენებას არ გვაძლევენ!.. ფხანისგან ტანზე ლამის კანი გაგვძვრეს, პირველი მისის რაიონის სანებდსადგურის მუშაკებს კი სულაც არ ვებრალბებით კოლოებისაგან დაკბენილები!




ქ უ რ დ ი: — ხომ იცი, დღეს როგორ გვებრძვიან ტრენტის მმართველი კი ხარ, მაგრამ, თუ გახმაურდა, უთხარი, კოლეგები იყვნენ-თქო!..

იზის!

ბევრს, ძალიან ბევრს იხვეჭდა
სიმართლის გზების აუღლითა
და დააგროვო ქონება
უმრომელ შემოსავლითა!..
დრო რომ არ ქქონდა, სააშქროს
ის ამოწმებდა გავლითა
და მშრალს ითვლიდა, ცხოვრობდა
უმრომელ შემოსავლითა!..
ბინებს იცვლიდა, მეფობდა
სრული სვითა და დაუღლითა,
გალაღდა, გაგვიდიდაცდა
უმრომელ შემოსავლითა!..
აღარ ეძინა მოსვევის
და დაგროვების ჯავრითა,
დროს ატარებდა, ღრუობდა
უმრომელ შემოსავლითა!..
ქორწილ-დეღობებს იხდიდა
თავის საკუთარ აღმითა,
გამეფდა, გაგვისვითივილდა
უმრომელ შემოსავლითა!..
ბრძოლა რომ გამოუცხადეს
უმრომელ შემოსავალსა,
მას დროებითი ეგონა,
ასლა კი ამხნევს მთავარსა:
ხედავს, ფონს ვერვინ ვერ გადის
სიმართლის გზების აუღლითა!..
და წუსს: რა უყოს ნამოვარს
უმრომელ შემოსავლითა?..
მფითავს, ბოზოქრობს და გული
საგულეს აღარ ეტევა:
სიმართლუ დადის ურმით და
მანც სუველას ეწევა!
გაუნდა დარდის გორგალი,
აზრს ეჭიდება მთავარსა:
რა უყოს ამდენ დაგროვილ
უმრომელ შემოსავალსა?..
რაც იმოვა და ინასა,
იყის, სუველა „ლუკია“!..
არ შაიძლებს, არ დანდევს
ნაჭამი, დანალუკია!

შოთა სოდაშენალი



ძროხა იგივეა!..

(ზოგიერთი რაიონული გაზეთის ფურცლებიდან)


ახლახან ჩვენი რაიონის მოწინავე მწველავმა შენია ცნობილაძემ ვალდებულება იკისრა — ერთ სულ ძროხაზე, ადრე გათვალისწინებული 300 ლიტრი რძის ნაცვლად მოწველოს დ მეურნეობას ჩააბაროს 500 ლიტრი რძე (ძროხა იგივეა).

შარშან შენია ცნობილაძემ გეგმით გათვალისწინებულ: 200 ლ. რძის ნაცვლად (ძროხა იგივეა) ერთ სულ ძროხაზე მოწველა და სახელმწიფოს ჩააბარა 450 ლ. რძე (ძროხა იგივეა).

არ უნდა ვაგვიკვირდეთ, თუ მომავალ წელს ჩვენი რაიონის მოწინავე მწველავი შენია ცნობილაძემ გეგმით გათვალისწინებული 500 ლ. რძის ნაცვლად (ძროხა იგივეა) მეურნეობას უპატაკებს 700 ლ. (!) რძის ჩაბარებას (ძროხა იგივეა).

გადმოიწერა ვპი-შიქმე

ნახ. შ. აბაშიძისა



— ამ კაცს უშრომლად რომ აქვს ეს სახლ-კარი შეძენილი, ჩამოართვით და მე პატიოსანს, მომეცით, სხვა თუ არაფერი, შრომაში ჩაგეთვლებათ!..

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

„და რომელი იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთაისა აშხილენ, რაითა სხუათა მათ ემნოდის“

აქტიური შემოსავლის მართვა

კვალი პართული წიგნებიდან

მოგვიმრავლდნენ სხვა ბუნების უსრომელი ზღარბუნები; უსრომელმა კუმ და ზღარბმა მოადინეს ზღარბთანი, ეს ამბავი დადის ზღაპრად — იმ კუთა და ზღარბთანი. ერთმანეთი აბითურეს, იყო ფუსფუს-კუსკუსი, — არ შრომობდა ზღარბი თურმე, არ ესმოდა კუს კუსი. ამ ცხოველთა ერთი წყება ფიქრობს: „მეონი, ღმერთი წყრება: შეფი შეფს რომ ეფიცება, იქ ორივე შეფი ძლება. არ წამოსცდეს ჩვენზე ძვირი, არ იცითო შებრალება, — ვაჰ, თუ ძღვენი, ჩვენი წილი, გაიტანოს შეფმა „ლევად“?! თქვეს: „მოვიმხროთ უშნო მელა, — ეგვც ცხოვრობს უსრომელად!“ გამოაკრეს აფიშები:

„გადაგვარდა ზღარბი — შეფი!“
 „ამიტომაც ვუშვებთ პონით, ფონს გაუალთო უშეფონი“.
 „შე რად მნათლავთ უშნო მელად?! მარტო მე მაქვს უსრომელად?! ეს ცხადსა ჰგავს, არა სიზმარს“, — მელა სულ მთლად გადირია.
 „გადირევა, მა რას იზამს? — ძმაო, მელაც ნადირია!..“
 ჰოდა, ასე, მოყურებით, უსრომელის მოქუჩებით, აიშენეს წლეულს „დაჩა“, სულ არ ეთქმის „ნეუდაჩა“; შეიძინეს „ლადა“ ადრე, მერე „ვოლგად“ „გადაადნეს“; მერე „ვოლგის“ სილამაზე დაიმშვენა ვილამ ასე!.. ვილა — ვილას, „დაჩა“ — „დაჩას“,




სიარული აჩაბაჩა შერჩათ ბევრჯერ უშნო მელთა, უღრტინველთა, უსრომელთა. ოდეს ჰკითხეს: „რა გზითაო?“ რისით, ვანა მოწიწებით, — ბრძანეს: „ზოგი ტაქსითაო, ზოგი კიდევ — სოსისებით“. გაიმართლეს წამსვე თავი: „ეს ამითო, ეს იმითო, — ცოტა-ცოტა — საზეთავით, უფრო მეტი — ბენზინითო; აქეთაო, იქითაო, ათასგვარი ხრიკითაო, ათასგვარი საბაბითო, — რით და — ზოგჯერ სინკლითაო, ზოგჯერ კიდევ — ქაბაბითო; რით და — ზომა-წონითაო, მოტყუების კოცონებით, მოკარნახე ცოლითაო, მის თანხმობა-მოწონებით!..“ თუმცა ბინა აქ არ აკლდა, იქ — სიმრავლე აგარაკთა, — უთხრეს: „შვილო, აგე, ფული (თანაც ტონით გასაგებით), აი, სახლიც აგებული, აგე, კიდევ — ასაგები!“ რა სინდისი ინაპირა, მიუმატა ბინა ბინას; გახდა ტოლი ასი მავრის, ჩაჩხრიალდა ასი „თეთრი“, — ო, პატრონი რა სიმამრის! ო, პატრონი რა სიდედრის!

სულ გადარია ქონებამ, უკეთ: უსრომლად ქონამან, რაც უკარნახა გონებამ, ეგვეე ვააგონა მან, იცოდის სხვის მოლორება მისმა თავისა წონამან!

ჩააწყვეს და ჩააყუთეს (რა სიმდიდრე მიაქვს ყუთებს!), ერთხელაც თუ ჩააყუდეს, არგანს მაშინ მიაყუდებს!..

ერთხელ რომ სული დაბომბეს (ვას, სულსა მელეებისას!) შიგ ჩაითრევენ ასლობლებს, — ჯერ — შინშსა, მერე — ბიძასა, ერთად, ერთპირად ამბობენ ზღაპარსა წვენებისასა.


უარს ეტყვის წამსვე წიგნებს, უარს — თეატრს, უარს — კინოს, ცხოვრებაში გზას ვერ იგნებს ასკინკილით უასკილოდ. სულ არ მესმის, იმ შენ მავანს რას ურჩევენ, რას კვიანს, სინდისს ვასცემს, როგორც ავანსს, თუკი სადმე ასკილია! ბევრს ემატა ცოტა-ცოტა, უსრომელის ცოდვას — ცოდვა, სულ იარა აცაბაცად, ხელი დროზე არვინ სტაცა!.. მენიკლე და მესოსისე ვერ ავსებენ ეზოს ისევე უცხოური მანქანებით, მოხვეჭილით, ანგარებით, მოხვეჭილი სასახლეთი!.. აღარა აქვთ წასაღლები!



სადღაც ვილაც კვლავ „ირჯება“ უსრომელი შემოსავლით, მიწას შავი კვალი რჩება, შავი კვალი ჩეროსავით!.. და სიმდიდრის დიდი წარღვნით მარტოსული მარტო კვდება, კაცურ კაცის ერთი ძარღვი მის შუბლზე არ ატოკდება. ზღარბმა სისხლი უსრო მელთა, შვილთა — მათებრ უსრომელთა.

ახლა ზღარბი, შეფყოფილი, თურმე მელს ჰყავს შეპყრობილი, ხოლო შემდგომ საპყრობილეს კუთა მოდგმა აპროფილებს.

თუმცა სახლ-კარს იზღაპრულებს, ბროლის კოშკებს მიაგვანებს, ეფარება ნილაბს მრუმეს — ბედისწერის იალქანებს, — მაინც ცოდვა იმ ზღარბუნებს უფსკრულისკენ მიაქანებს!..





სახალხო დეპუტატთა 26 კომისიის სახელობის რაიონკომისი:

„რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა „ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში — „ასე ებრძვიან ლოთობას?“ — მოყვანილი ფაქტები რაისაზვევის გაერთიანების №246 სასაუბრეში ალკოჰოლიანი სასმელით ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ. რაიონკომის განკარგულებით აღნიშნულ ობიექტში აიკრძალა ყოველგვარი ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა. რაისაზვევის ტრესტს დაევალა გადაწყვიტოს ობიექტის პროფილის შეცვლის საკითხი.

მიმდინარე წლის 16 ივლისს ჩატარებული შემოწმებით აქ კვლავ გამოვლინდა საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები, რის გამოც დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებულია გაერთიანების გამგე ი. გოგლიძე და მეზუფეტე ე. ბარხუღაძე. ობიექტის მუშაობაზე დაწესებულია კონტროლი“.

სამართლებლოვს აკ მცხეთის რაიონული კომიტეტი:

„უტრანალნიანგის“ ამა წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში — „მუხრანის საავადმყოფოში“ — მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მუხრანის საავადმყოფოს შერობა მართლაც ავარიულ მდგომარეობაშია და აქ ავადმყოფთა ნორმალური მკურნალობა შეუძლებელია. ამჟამად შედგენილია გაძლიერებული პოლიკლინიკის აშენების პროექტი, რომლის მშენებლობა დაიწყება მომავალი წლიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დახმარებით“.


სახალხო დეპუტატთა ზესაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის“ ამა წლის მე-5 ნომერში მოთავსებული წერილი სათაურით — „ბარათები ნიანგს“ — სოფელ შრომის ექსპედიციების საუბნო გზის კეთილმოწყობლობაზე სინამდვილეს ასახავს. გზის მთლიანი სიგრძე 8 კილომეტრია. რთული რელიეფური პირობების გამო მისი რეკონსტრუქცია მოითხოვს მასშტაბურ სამუშაოებს და დიდი რაოდენობის თანხებს. შრომის საბჭოთა მეურნეობას დაგეგმილი აქვს მიმდინარე წლის ბოლოს რეკონსტრუქცია ჩატაროს გზას 2 კილომეტრის მონაკვეთზე, დანარჩენი ნაწილი კი შეეკეთება მომავალ წელს“.

ნახ. დ. ზარაფიფილის



— რამდენჯერ გადმოაგდეს ეს კაცი ზევიდან და დაბლა მაინც არ ეცემა!
— მაგას მაღლა ჰყავს კაცი!



ნახ. ჯ. ლოლუასი

უსიტყვოდ

ის უშრომელმა შემოსავალმა
სიზარმაცისგან აქცია დათვად!..
შუბტევი იყოს ჩვენი კალამი,
ზოგი კაცუნა გარდავქმნათ კაცად!

თუ ვერ აკეთებ საქვეყნო საქმეს,
შენი წისქვილი არ ბრუნავს, არ ფქვავს,
და თუ არ ძალგის სძლიო ბოროტი,
რის მაქნისი ხარ ამქვეყნად, აბა?!

ნარკოტიკებით მოვაჭრე დავგმოთ,
ჩვენს მომავალს რომ უპირებს ჯვარცმას!
გამოვასწოროთ ნარკომანები
და ავაშოროთ ჭაობში ჩაფვლას!


გვერდით დაუდგეთ ყველანი იმას,
ვინც მედგრად ებრძვის ანტიპოდს, ავ კაცს,
ვისაც უჭირავს მშვიდობის დროშა,
არწევს დიადი გარდაქმნის აკვანს!

ლილი აზიანიძე

7-80

86-675

პარსკვლავეთის ომები



კოსმოსში განვლა ამერიკულად



საბჭოთა საბჭოთა
 ჟურნალი „სატირიკო“ № 19
 (1725). ოქტომბერი. გამო-
 დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
 ზაურ გოლშვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ვახუა ამირჩიანი, ნოზდი
 ბართაია, ბორის გურგუ-
 ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ
 ლოლუა, ნოდარ შალაშონია
 (მხატვარ - რედაქტორი),
 ალექსანდრე სამსონია, ბე-
 ჟან სიხარულიძე, (მთავარი
 რედაქტორის მოადგილე),
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
 წივწივაძე, ნაფი ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი
 ირაკლი დუნდუა

გალეცა ასაწყობად
 5. 09. 86 წ. ხელმოწერი-
 ლია დასაბეჭდად 13. 10.
 86 წ. ქალაქის ზომა
 50 X 90¹/₈. ფიზიკური ნაბე-
 ტლი ფურცელი 1,5, სააღ-
 რიცხვო-საგამომცემლო თა-
 ბახი 1,9, საქართველოს
 კბ ცკ-ის გამომცემლობა,
 ლენინის 14. შეკვ. 2068
 უე 04792. ტირაჟი 143.000.
 ჟურნალი გამოდის თვეში
 ორჯერ. რედაქციაში შემო-
 სული მასალები ავტორებს
 არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 280008.
 თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
 რედაქტორის — 99-55-54,
 მთ. რედ. მოადგილის —
 93-19-42, პ/მგ მდივნის —
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-
 ტორის — 99-02-38, გან-
 ყოფილებათა გამგეების —
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
 მუშაეების — 99-02-38,
 მდივან-შემანქანის —
 99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
 ский журнал «НИАН-
 ГИ» (На грузинском
 языке) Тбилиси, пр. Ру-
 ставели № 42. Издаель-
 ство ЦК КП Грузии,
 типография издательства
 ЦК КП Грузии, Тбили-
 си, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
 ფასი 20 კპ.

საბჭოთა
 № 675
 28/7
 86